შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობლის

ბრძანება № 06-27

„20“ 11 2015 წ.

დაბა შუახევი

არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირის - შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის დაფუძნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირის - „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი“

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“ წესდება თანდართული დანართის მიხედვით.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“ დირექტორად დაინიშნოს მერაბ დავითაძე (პ/ნ 61010001540).

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“ დირექტორს მერაბ დავითაძეს მიეცეს უფლებამოსილება იმოქმედოს მუნიციპალიტეტის სახელით და დაარეგისტრიროს ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი იურიდიული პირი.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ბათუმი. ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამგებელი ტარიელ ებრალიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის
2015 წლის 20 თებერვლის
№ 06-27 ბრძანების დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – – „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“
წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. სახელწოდება და იურიდიული მისამართი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი“ (შემდგომში ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. ცენტრის სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „შუახევს სოციალური სერვისების ცენტრი“
3. ცენტრის იურიდიული მისამართია: დაბა შუახევი, ჭავჭავაძის ქუჩის მე-2 შესახვევი №2
4. ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართია:
shuaxevi.socmomsaxureba@gmail.com

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – –„შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“ სტატუსი

1. ცენტრი წარმოადგენს წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს შუახევის მუნიციპალიტეტის, თვითდაფინანსებისა და სამეურნეო დაფინანსების პრინციპებით და რომლის საქმიანობას კოორდინაციას უწევს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
2. ცენტრის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციის მომენტიდან.
3. ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
4. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება.
5. ცენტრი კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში და არბიტრაჟში, აგრეთვე მესამე პირთან ურთიერთობაში.

6. ცენტრის აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

7. კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში ცენტრი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. ცენტრი ძირითადი მიზანი და ფუნქციები:

ცენტრის ძირითადი მიზანი და ფუნქციაა:

ა) შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ამბულატორიების ექიმებისა და სამედიცინო პუნქტის მედდების მუშაობის მონიტორინგი; საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურება და მათი მუშაობის ხელშეწყობა.

ბ) ყოველთვიური ანგარიშების მიღება და შესაბამის სამსახურზე გადაცემა.

გ) მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრები.

დ) ცენტრის სფეროს ფუნქციონირებისა და განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციების მოპოვება, შესწავლა, დამუშავება, ანალიზი და მიწოდება შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ინფორმაციების, დასკვნების, რეკომენდაციებისა და პროექტების სახით;

ე) მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამართლებრივი აქტების შესაბამისად სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ვ) სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მხარდაჭერის და სხვა მიზნებით ღონისძიებების განხორციელება;

ზ) შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული, სოციალური ხასიათის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.

მუხლი 4. ცენტრი უფლებები და ვალდებულებები:

1. ცენტრის დაკისრებული ვალდებულებებისა და ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მოლაპარაკებანი და დადოს გარიგებები, აგრეთვე, განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან; მათ შორის დაამყაროს ურთიერთობები სხვა ქვეყნების იურიდიულ, თუ ფიზიკურ პირებთან;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა; ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მუშაკთა სოციალურ დაცვას, შრომის ეკონომიკურ სტიმულირებას, აგრეთვე დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

გ) საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული, ეფექტიანი, სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმის შესახებ შეიმუშაოს წინადადებები მის კომპეტენციაში შემავალი სფეროების განვითარებისა და სრულყოფისათვის;

დ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;

ე) დაქვემდებარებულ სფეროში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე სათანადო წინადადებების და დასკვნების მომზადება და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტანციაში წარდგენა;

ვ) გამართოს თათბირები, სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხზე;

ზ) თავისი მიზნებიდან გამომდინარე განახორციელოს სხვა ქმედებები, რაც პირდაპირ, ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს. მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

2. ცენტრის ვალდებულია:

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;

ბ) წარმართოს შრომითი (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

დ) პასუხი აგოს მასზე გადაცემული ქონების შენახვასა და დაცვაზე;

ე) მოცემული წესდებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში შეასრულოს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამართლებრივი აქტები;

ვ) მიიღოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს და პასუხი გასცეს კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) თავისი ფუნქციების განხორციელებისას შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ამ წესდებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 5. ცენტრის მართვა

1. ცენტრს მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდების შესაბამისად.

2. ცენტრის ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ერთპიროვნულად ეკისრება დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

3. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4. ცენტრის საქმიანობაზე კოორდინაციას ახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

მუხლი 6. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილება:

1. დირექტორი:

ა) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს დაწესებულების საქმიანობას, მოქმედებს დაწესებულების სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში;

ბ) იურიდიული პირის საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებზე გადაწყვეტილებას ღებულობს ერთპიროვნულად, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც საჭიროებს დამფუძნებელთან შეთანხმებას;

გ) პერსონალურად პასუხისმგებელია ამ წესდებისა და დაწესებულების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;

დ) პერსონალურად პასუხისმგებელია დაწესებულების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, დაწესებულების ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ე) თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის, ხელს აწერს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

ვ) უფლებამოსილია დასახული მიზნების მისაღწევად დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად;

ზ) უფლებამოსილია შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შესაბამისად;

თ) საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს (დებს ხელშეკრულებებს) და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაწესებულების თანამშრომლებს;

ი) ანაწილებს ფუნქციებს დაწესებულების თანამშრომლებს შორის (რაზედაც გამოსცემს ბრძანებას), აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს დაწესებულების ზედამხედველობას თანამშრომლების საქმიანობაზე, მართავს თათბირებს, პერიოდულად ისმენს ანგარიშს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების თაობაზე, დაწესებულების სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას დაწესებულების თანამშრომლებსა და სხვა პირებზე.

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია დაწესებულების თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები;

ლ) უფლებამოსილია დაწესებულების სახელით გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები, დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ათანხმებს დაწესებულების ხარჯთაღრიცხვას;

ნ) ადგენს და შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს დაწესებულების ბალანს;

ო) ამტკიცებს დაწესებულების თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს;

პ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, თანამშრომელთა და დამსვენებლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;

ჟ) შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელს არანაკლებ წელიწადში ერთხელ წარუდგენს დაწესებულების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

რ) ანგარიშვალდებულია შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელის წინაშე;

ს) შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს დაწესებულების წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტს, წინადადებებს დაწესებულების საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ;

ტ) ახორციელებს კანონმდებლობით, ამ წესდებით და მათ შესაბამისად მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით, დირექტორი უფლებამოსილია შექმნას სათათბირო ჯგუფები, კომისიები და უხელმძღვანელოს მას.

მუხლი 7. ცენტრის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება

ცენტრის საშტატო ნუსხასა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

მუხლი 8. ცენტრის ქონება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს აქვს საჭირო განცალკევებული ქონება, რომელიც გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცენტრის ქონებას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე დაწესებულების ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და შექმნილი ქონება.

3. ცენტრის ქონებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

ცენტრს შეუძლია მხოლოდ დამფუძნებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) გადაცემული ქონების გასხვისება;

გ) გადაცემული ქონების იჯარით გაცემა;

დ) სესხის აღება;

ე) თავდებობა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 10. ცენტრის ფინანსები:

1. ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი შემოწირულობები, გრანტები;

გ) შემოსავლები, რომლებიც მიიღება ცენტრის მიერ სხვა იურიდიული, თუ ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურების შედეგად;

დ) დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ვ) ცენტრის ხარჯთაღრიცხვას ითანხმებს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. ცენტრის ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. დაწესებულების სახსრების სხვაგვარად გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 11. ცენტრის საქმიანობის კონტროლი:

1. ცენტრის საქმიანობის საერთო კონტროლს ახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
2. ცენტრის საქმიანობის კონტროლი მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
3. ცენტრის საქმიანობის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა ნიშნავს აუდიტორს.
4. ცენტრის საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია:

1. ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
2. ცენტრის ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გამგებელი ტარიელ ებრალიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-54
10/01/2017

54-07-4-201701100935

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის დაფუძნების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 თებერვლის №06-27 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“ წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის დაფუძნების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 თებერვლის №06-27 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის“ წესდებაში და მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად.“

2. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ტარიელ ებრალიძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა